117
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 205
სეკდემბრის 26, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 205
სეკდემბრის 26, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა შაბათს, 28 სეკდემბერს.

ხუთშაბათს, 26 სეკდემბერს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. პანაშვიდი 12 ს. (2—425—2)

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.

ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

გორში: ანტონ კასრაძესთან.

განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	**1.650.000 მან.**
სათადარიგო თანხა	**2.664,808 მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის [illegible], ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სტრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—30)

ტფილისის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აცხადებს ბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ არჩევა ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნებისა მესამე საარჩევნო განყოფილებაში დანიშნულია 29 ენკენისთვეს 1902 წ. ტფილისის სობრანიის საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზედ.

საარჩევნო კრებაში შესასვლელი ბილეთები დაურიგდებათ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 28 ენკენისთვემდის და არჩევნების დღეს-კი თვით „ტფილისის სობრანიის“ სადგომში დილის 10 საათიდგან კენჭების დათვლის დაწყებამდის. (3—6.—1)

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, ხუთშაბათს, 26 სეკდემბერს, ხარკოვის რუსულ ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

☛ ფაუსტი ☚

ოპერა 4 მოქმ. და 7 სურათად, მუსიკა გუნოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევისა, დობრჟანსკისა, ბაუერი; ბ-ნნი: დნეპროვსკი, გრადოვი, სერგეევი, პეტროვი და სხ.

ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი**.

მონაწილეობას მიიღებს 1-ლ კავკასიის საპიორთა ბატალიონის სამხედრო ორკესტრი ბ. **რიჩჩარის** ლოტბარობით.

კაპელმეისტერი მ. მ. **ბუკშა**.

ხორმეისტერი ა. გ. **ზვერჟანსკი**, ადმინისტრატორი მ. **დურანდინი**.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი**.

ანონსი: ხვალ, 27 სეკდემბერს, არტისტის **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „**პიკის ქალი**“.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო

საზოგადოებისაგან

ბ-ნნთ წევრთ კავკასიის **საიმპერატორო** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათ, სოფლის მეურნეთა, მიწათ-მფლობელთა და საზოგადოდ ყველა იმათ, ვისაც საინტერესოდ აქვს სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა საქმე და საგანი, მოვიწვევთ საზოგადოების საზოგადო კრების სხდომაზედ, რომელიც დანიშნულია პარასკევს, 27 სეკდემბერს, საღამოს 8 საათზედ.

განსახილველი საგანი:

განხილვა განსაკუთრებულ ბჭობის პროგრამისა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ (განგრძობა).

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ კრებას. (1—6.—1)

„მცხეთა-ტფილისის“ ამხანაგობის გამგეობა ამით აცნობებს თავის წევრებს, რომ 6-ს ღვინობისთვეს, საღამოს შვიდ საათზედ დანიშნულია საზოგადო კრება ამხანაგობისა სათავადაზნაურო **ბანკის** დარბაზში. საგანი კრებისა: 1) სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატების ამორჩევა და 2) მოხსენება განზრახულის საგარაკო მამულის სყიდვის შესახებ. (2—426—1)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბეღლევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

[illegible] **კამოევი**.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბეღლევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს,

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებიმ მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შჰაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აცხადებს ბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ არჩევა ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნებისა მეორე საარჩევანო განყოფილებაში დანიშნულია 26 ენკენისთვეს 1902 წ. ტფილისის სობრანიის საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზედ.

საარჩევანო კრებაში შესასვლელი ბილეთები დაურიგდებათ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 25 ენკენისთვემდის და არჩევნების დღეს-კი თვით „ტფილისის სობრანიის“ სადგომში დილის 10 საათიდგან კენჭების დათვლის დაწყებამდის. (3—6.—3).

ტფილისი, 26 სეკდემბერს.

პირველ უბნის არჩევნებს ყოველ მხრივ შესანიშნავი შედეგი მოჰყვა.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ უბნის ამომრჩევლების რიცხვი 1070 იყო; ამათ შორის სომხობას ჰქონდა 460 ხმა, რუსებს 380 და ქართველებს 230.

რადგანაც ამ არჩევნებში სომხობამ გაიმარჯვა და რუს-ქართველობა დამარცხდა, ამისათვის ამ ბრძოლაში მხოლოდ ორი მხარე უნდა გვქონდეს სახეში, ერთი—სომხობა და მეორე—რუს-ქართველობა. მაშასადამე, ერთის მხრივ უნდა მოსულიყვნენ 460 კაცი და მეორეს მხრივ 610; ნამდვილად-კი სომხობამ გამოიყვანა 181 კაცი და რუს-ქართველობამ—111.

პირველ შეხედვით გამოდის, რომ რუსებმა და ქართველობამ თავისებური უზრუნველობა გამოიჩინა და 610 კაცის მაგივრად 111 კაცი წამოაყენა. მაგრამ თუ ამ დანაშაულობის განხილვაში შევალთ, ნათლად დავინახავთ, რომ ეს სრულებით ტყუილი ბრალდებაა. რათა? მოგახსენებთ: ყველამ კარგად ვიცით, რომ არჩევნების საქმე საერთო კომიტეტს ებარა და ეს კომიტეტი ცდილობდა, უმეტესი ნაწილი ამომრჩევლებისა არჩევნებს დასწრებოდა, მიუხედავად ეროვნებისა. მართლა ასეც მოხდა, რადგანაც კომიტეტის მეცადინეობით სომხობიდამ მოვიდა მხოლოდ 74 კაცი და რუს-ქართველობიდამ—111.

მაშ, საიდან-ღა გამოტყვრა სომხობის უმეტესობა? ვინ მოიყვანა უცბად 107 ხმა და სომხობას უცბად გამარჯვება მისცა? ეს გახლდათ ვინმე ბ-ნი ჩიმიშკიანი, სომხობისგანვე გაშავებული, რომელმაც თურმე 107 კაცი მოიყვანა და ხმა-მაღლივ უბრძანებდა თავის ამომრჩევლებს: სომხებს თეთრი კენჭი მიეცით და სხვას ყველას შავიო. ვინ იცის, იქნება ეს ჩიმიშკიანი თავისით არ მოქმედებდა, იქნება სხვისგანაც იყო დარიგებული, ამას ჩვენ არ შევეხებით, მხოლოდ ეს-კი ნამდვილია, რომ უმეტესი შავი კენჭი რუს-ქართველობამ ამ ბ-ნ ჩიმიშკიანის წყალობით მიიღო. ამ ამბავს ვერავინ ვერ უარჰყოფს, რადგანაც, ვინც-კი არჩევნებს დაესწრო, ყველამ ეს აშკარად დაინახა.

თუ ეს ასეა, მაშასადამე, „ცნობის ფურცლის“ საყვედური, რომელიც გახარებულმა „Тиф. Листокъ“-მა უცბად გადაჰბეჭდა (იხილე № 224), სრულებით უსაბუთო ყოფილა, რადგანაც სომხობიდგან თუ მარტო 74 გულ-ახდილი კაცი მოვიდა, მეორეს მხრივ 111 კაცი მისულა. თუ რუს-ქართველობას დაუდევრობა და უზრუნველობა ესაყვედურება, ამ საყვედურს ვერც სომხობა წაუვა.

რასაკვირველია, ვერც იმას გვისაყვედურებენ, რატომ ჩვენში ისეთი ეროვნების მდევნელი არ გამოჩნდა, როგორც ბ-ნი ჩიმიშკიანიაო; ვერ გვისაყვედურებენ, იმიტომ რომ ჩვენი ქართველობის ხასიათი ვერ იშვნევს სიტყვის გატეხას; ვერ იშვნევს იმიტომ, რომ ბრძოლაში ყველა გულახდილი უნდა იყოს, ყველამ უნდა აასრულოს ის, რასაც დაჰპირდა და ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ჩვენმა ქართველობამ პირი არ შეირცხვინა და, მიუხედავად ეროვნებისა, ყველა კომიტეტის კანდიდატს თეთრი კენჭი მისცა.

ამბობენ, ვითომ ერთი სხვა საყვედურიც კიდევ დავიმსახურეთ ჩვენ, ქართველებმა. ხმას ავრცელებენ ქალაქში, ვითომ ქართველების დამარცხების მიზეზი თვითონვე ქართველები არიანო, ესე იგი ციხე შიგნიდამ გატყდაო. ვითომ-და ქართველთა ამომრჩეველთა შორის **ერთი** ისეთი უზნეო კაცი გამორეულა, რომელსაც გაუბედნია ხმა მაღლივ ერჩია სომხებისათვის, კომიტეტის ესა და ეს ქართველი კანდიდატი შავის კენჭის ღირსიაო და ვითომ სწორედ ამ უზნეო კაცის რჩევით ზოგიერთი ქართველი გაშავებული იქმნაო.

ჩვენა გვგონია, რომ ეს განგებ მოგონილი ამბავია და, თუ მართლა ამისთანა ქეციანი კაცი გამოგვერია, რატომ არ ასახელებენ ამისთანა კა-

ცის გვარს, რომ გვქონდეს შეძლება მისის განსჯისა.

რაიცა-კი შეეხება საზოგადოდ ჩვენს დამარცხებას, არც მაგაზე უნდა ვიტიროთ. ჩვენ ისეთ გარემოებაში ვართ დღესა, რომ ჩვენი გამარჯვება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. სანამ ჩვენ ზურგს არ გავიმაგრებთ, სანამ დიდი და პატარა სხვის სიცრუეს და სიფლიდეს თვალ-ნათლივ არ დავინახავთ, სანამ ერთი-ერთმანეთს მჭიდროდ, ძმურად და მეგობრულად, ხელი-ხელს არ ჩავჭიდებთ საზოგადო საქმისათვის, მანამ ყოველთვის დამარცხებულნი ვიქნებით.

მოვა დრო, იმედია, დღევანდელს ჩვენს სიბრმავეს ბოლო მოეღება, ნათლად გავარჩევთ მტერსაცა და მოყვარესაც და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება გამარჯვებით გავიტანოთ ჩვენი სვე.

ტფილისი

✦ გუშინ მობრძანდა ტფილისში დაღესტნიდგან კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი.

✦ დღეს, ხუთშაბათს, ქალაქის საკრებულოს საზაფხულო სადგომში დანიშნულია მეორე რაიონის კანდიდატების ამორჩევა ხმოსნებად.

✦ ქალაქის გამგეობისათვის 25 ამ თვემდე მიურთმევია 29 კაცს თხოვნა, ნება მოგვეცით მონაწილეობა მივიღოთ მეორე რაიონის კანდიდატების არჩევნებშიო. მათ შორის ქართველია ბ-ნი ალხაზიშვილი და თულაშვილი.

✦ მეორე რაიონის კანდიდატების კენჭის ყრაზედ შესვლისათვის ქალაქის გამგეობას გაუცია 187 შესასვლელი ბილეთი.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობაში დანიშნული იყო ნაძალადევის მამულების იჯარით გაცემა. ვაჭრობას ხალხი ბევრი დაესწრო, მომეტებულ ნაწილად ღარიბი. ზოგიერთის ნაჭრისა საჟენი გაიცა 1 მ. 37 კაპ. წელიწადში.

✦ გუშინდელი კრება კავკასიის საიმპ. სამეურნეო საზოგადოებისა უცხო მაყურებელს სწორედ ერთობ გააკვირვებდა. მაშინ, როდესაც დღეს მთელ რუსეთში დიდი სჯა და ლაპარაკია უმაღლესად დაწესებულ სამეურნეო კომიტეტების გამო და თითქმის ყოველ კრებაზე თვით სოფლის მემამულეები ამტკიცებენ, ჩვენთვის დიდად და აუცილებლად საჭიროა სოფლებში განათლების გავრცელება და შეგნებული და მცოდნე მუშაო. ამ დროს ჩვენ, ყოველთვის და ყველაზედ უკან ჩამორჩენილნი, ვლაღადებთ, დღევანდელ სასოფლო სკოლას ვნების მეტი არა მოაქვს რაო. ასეთი აზრი წარმოსთქვა სხვათა შორის გუშინდელ სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ თ-დმა ვ. მიქელაძემ, თუმცა ბ-ნმა მიქელაძემ თავისი „რეჩი" შემდეგ, როდესაც ზოგიერთმა კრების წევრმა საკადრისად უპასუხა, ცოტათი ვითომც შეასწორა, მაგრამ მით მაინც გრძნობა უსიამოვნებისა ვერ განიქარვა დამსწრე საზოგადოებამ.

✦ ვლადიკავკაზის ქალაქის მოურავი შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შეგვატყობინეთ, რა ფასად იყიდება სხვა-და-სხვა ხარისხის ხორცი ქალაქის მიერ დაარსებულ ხორცის დუქნებშიო.

✦ მომავალ შაბათს ავჭალის ქუჩაზედ სახალხო თეატრში დანიშნულია სახალხო იაფი წარმოდგენა.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრნი შესდგომიან მეურნეობის სხვა-და-სხვა საჭიროების შესახებ მოხსენებათა შემუშავებას რომელნიც უნდა წარუდგინონ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, მის ტფილისში ყოფნის დროს.

✦ ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში ზოგიერთ საგნებში მეცადინეობა დაიწყება პირველ ოკდომბრიდან.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას გუშინ-წინ უნდა დაეთვალიერებინა ვერა და ავლაბარი და დაენიშნა, სად უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ხორცის დუქნების დამართვა; კომისიამ, დაათვალიერარა ეს ადგილები, გარდასწყვიტა მესამე ქალაქის ხორცის დუქანი გაიმართოს ვერის მოედანზედ; ქალაქს ამ მოედანზედ აქვს ხუთი თვალი ფარდული, სადაც ამ ჟამად ქალაქში სანოვაგეთა ჩამომტანნი ინახავდნენ სანოვაგეს ავდრიან ამინდში და ღამ-ღამეობით; ეს შენობა უნდა გადაკეთდეს დუქნებად. სამს თვალს ამ შენობისას დაიჭერს ხორცის დუქანი და ორიც მიჰქირავდება იმათ, რომელნიც იკისრებენ ხორცის დუქანთან. მწვანილისა და ბოსტნეულობის გაყიდვას. დუქნის შეკეთებას უკვე შეუდგნენ, რომლის დამთავრებაც გასტანს ნოემბრის დამლევამდე. ვნახოთ, ენფიანჯიანცი გაიმარჯვებს ამ საქმეში, თუ კომისია.

✦ 27 ამ თვეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება საზოგადოების წევრთა და მემამულეთა, რომელნიც განაგრძობენ უმაღლესად დამტკიცებულ განსაკუთრებულ ბჭობის პროგრამის განხილვას.

✦ პუშკინის ქუჩის ერთს სახლზედ ბევრს ენახვება, რომ ერთ დროს მარმარილოს დაფა იყო მიკრული ზედწარწერით: ამ სახლში სცხოვრობდა პუშკინიო; ეს დაფა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ქალაქის გამგეობას დღესაც ვერ აღმოუჩენია; ქალაქის გამგეობას დაუვალებია სავაჭრო ზედამხედველ მოხელე ბ-ნ ბაბოვისათვის შეუკვეთოს ხელმეორედ ამისთანა დაფა იმავე ზედწარწერით და მიაკრას იმავე ადგილას; გამგეობამ დაავალა აგრეთვე ბ-ნ ბაბოვს, გამოიძიოს, ვინ ჩამოიღო პუშკინის ძეგლიდან ის გვირგვინი, რომელიც ზედ იყო, პროექტის გეგმისამებრ, გამოქანდაკებული.

✦ კომისიის იმ გარდაწყვეტილებაზედ, რომ ვერის მოედანზედ შენობა გაკეთებულიყო ხორცის დუქნისთვის, ქალაქის გამგეობის წევრს ტ. ა. ენფიანჯიანცს, ამშენებელ განყოფილების გამგეს, განუცხადებია, მაგ გარდაწყვეტილების თანახმა არა ვარ, რადგანაც იმ ადგილზედ უნდა ავაგოთ ორ-სართულიანი სახლი და გავაქირაოთ ქალაქის სასარგებლოდაო.

✦ ის ცნობა, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ტფილისში 28 ჩამობრძანდებაო, ყოველსავე საფუძველს მოკლებულია, რადგანაც მინისტრის ჩამოსვლის შესახებ კავკასიაში მის რწმუნებულს არავითარი ცნობა არ მოსვლია, არც იციან, თუ როდის ჩამოვა, რამდენ ხანს დარჩება და საით გაემგზავრება.

✦ სათავადაზნაურო სასკოლო-საზოგადოების მამულში, სოფ. სკრას აღმოჩენილა ფილოქსერა და საფილოქსერო კომიტეტს აღუკრძალავს ამ მამულიდგან თესლისა და ვაზის რქის გატანა; ამ ჟამად ამ მამულში საფილოქსერო დასი მუშაობს, ექსპერტ ნ. ნ. სპეშნევის ხელმძღვანელობით, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს, რამოდენა ადგილია წამხდარი ფილოქსერით.

✦ პოლიცმეისტერმა მოახსენა ტფილისის გუბერნატორს, რომ აუცილებლად საჭიროა შესდგეს დაბალ პოლიციელთა სათადარიგო რაზმი, რომელიც გამოწვეულ იქნება სამსახურად საჭიროების დროსაო. პოლიცმეისტერს უკვე შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა ამ დამატებითის რაზმისა. ეს ხარჯთ-აღრიცხვა ამ ცოტა ხანში უნდა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას.

✦ ამას წინად გუბერნატორმა მისწერა პოლიცმეისტერს და მაზრის უფროსებს, მერმის შემოდგომაზედ პეტერბურგს დანიშნულია ისტორიული ტანისამოსების გამოფენა და ურჩიეთ მცხოვრებლებს, ვისაც რა საისტორიო ტანთსაცმელი და სამკაული აქვს გაჰგზავნოს ამ გამოფენაზეო. როგორც შევიტყვეთ, ტფილისიდგან და მომეტებულად ქუთაისიდგან აღმოსავლეთის ტანისამოსის მკერვალთ განუზრახავთ გაგზავნონ ამ გამოფენაზედ სხვა-და-სხვა კავკასიაში მცხოვრებთა ერის ისტორიული ტანისამოსი. სხვათა შორის, ამ ჟამათ იკერება ქართული ქულაჯები, გურული ტანისამოსი, რომელიც გარედ შემოქარგული იქმნება ნაკერ ოქრო-მკედით; თვით მასალა ამ ტანისამოსისა ძვირფასი ხავერდია, რომელზედაც იხატება ოქრო-მკედის ძაფით სხვა-და-სხვა სახეები შიგა-და-შიგ ჩატანებულ ქართულ იარაღების გამოყვანით.

თვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს მოილაპარაკოს ამ საგანზედ, და თუ მოსახერხებელი იქნება, დაამზადოს ტიპიური სახენი ქართველ კაცთა და დედაკაცთა ალებასტრისა და ტიკინებს ჩააცვან სულ ძველებური ქართული ტანისამოსი და ყოველივე ეს გაგზავნონ ზემოხსენებულს გამოფენაზედ. ამ საგნის ყოველივე შესახები ცნობა დ დაახლოვებულის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა გუბერნიის მარშალმა მიანდო ჩვენს ახალგაზდა სკულპტორს ბ-ნს ი. ნიკოლაძეს.

✦ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ გუშინ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ მან 26 ამ თვისთვის ნავთლუღის სტანციაზედ გამოგზავნოს თავისი რწმუნებული, რათა ყური უგდოს ამ დღეს ქალაქის მამულებიდამ მიწის მოჭრას სადგურის გასაფართოვებლად.

✦ ქალაქის საბჭოს მდივანი ბ-ნი სტ. ჭრელაშვილი ყუთს იდგამს და კენჭს იყრის ხმოსნობაზედ.

✦ რადგანაც ქალაქის სკოლათა აღმასრულებელ კომისიის კრება არ შესდგა გუშინ-წინ. ამის გამო კრება დაინიშნა დღეისთვის, რომელზედაც უნდა იქმნას ამორჩეული სახელოსნო სკოლის დირექტორი და გადასწყდეს ვის მიეცეს თამამშევის სახელობაზედ დაარსებული სტიპენდია.

✦ მე-5-ე საბოქაულოში, ყაზვინის ქუჩაზედ, მოუკლავთ ახალგაზრდა ქალი. ამ ამბავმა, რომელიც სიბნელითა და იდუმალობით არის მოცული, მთელს უბანში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

✦ აი, ერთი მაგალითიც ტფილისის რკინის გზებზედ მოსამსახურეთა უთავაზო და უზრდელ ქცევისა პასსაჟირებისადმი: გუშინ-წინ პუშკინის თავდადმართზედ, კონკის ვაგონი თითქმის ზედ წაადგა გზაზედ გადამავალ ოთხი-ხუთი წლის ბავშვსა; ბავშვის რაღაც ბედმა იმუშავა, თორემ გაუჭყლეტავი არ გადარჩებოდა. ამაზედ ერთმა ვაგონის წინა რიგზე მჯდომთაგანმა შეჰნიშნა მეეტლეს, ფრთხილად უნდა იყო ყოველს შემთხვევაშიო; მეეტლემ არც აცივა და არც აცხელა და აი რა უპასუხა: „შენ, მე მგონი, დაგილევია და ლაპარაკობო, დაე თითონ დაინახონ, რომ ვაგონი მოდისო". ამისთანა პასუხზედ პასსაჟირს უნდოდა წაჰყოლოდა უსახელო საზოგადოების სამმართველომდის, მაგრამ აქეთ-იქიდგან ჩააგონეს, რომ ტყუილი იქნება, რადგანაც იქ ბევრი მისულა და სამართალი-კი არავის მიუღიაო.

✦ ქალაქში გადამდებ სენით 16 ამ თვიდგან 23-მდე ავად გამხდარა 12, ორი მუცელათი, 1 ქუნთრუშით და 9 ხუნაგით.

✦ ქალაქის ქალთა საავადმყოფოში შესულა ამავე დროს განმავლობაში 1; მორჩენილა ხუთი; 23-სთვის დარჩენილა 50 ავადმყოფი; ამ ჟამად 5 თავისუფალი ადგილია იქ. გადამდებ სენით შეპყრობილთა თავშესაფარებში 16-დგან 23-დე შესულა 4 ხუნაგით ავადმყოფი. ამ ჟამად 24 თავისუფალი ადგილია.

✦ ნაძალადევში ქვის სამტვრევის ნაოხრების მოიჯარადრეები, მაჩაბელი და მერაბაშვილი, ქალაქის გამგეობას მიუცია სასამართლოში, რადგანაც გარდასახადი დროზედ ვერ შეუტანიათ.

✦ გუტბროტის გაუქმებულ ლუდხანიდგან 22 სეკდემბერს დაკარგულა გასაციებელი მანქანა, ღირებული ოც-და-ათ თუმნამდე.

✦ ქალაქის ქუჩებში მაწანწალა ძაღლების გამწყვეტი მოიჯარადრე აცხადებს, რომ პირველ ოკტომბრიდგან 15-მდე შემდეგ უბნებში შევუდგები ჩემის მოვალეობის აღსრულებასაო: 1 განყოფ. 2 და 3-ს ოკდომბერს; 2 განყ.—5 და 6-ს; მე-3 განყ. 8 და 9-ში; მე-4 განყ.—10 და 11 და მე-5 განყ.—12 და 14-ს.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. 21 სეკდემბერს საღამოს ჟამს ფერმის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა გლეხის ლუარსაბ კაპანაძის სახლს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ხატისთვის სამთლის ანთება ყოფილა. მლოცველ დიასახლისს ხატისათვის აუნთია სანთელი და დაუტოვებია ისე ანთებული. სანთელი მილევის დროს გადმოვარდნილა და ჩავარდნილა იქვე ლოგინში, საიდანაც ავარდნილა უცებ ალი და მოსდებია ხის სახლს, რომელიც სულერთიანად გადიბუგა; ვერაფრის გამოტანა ვერ მოასწრეს. ზარალი 500 მან. აქვს პატრიანს. ქუთათურ ცეცხლის მქრობელ რაზმსაც ბოლოს თავისის მისვლით ვერაფერი გაუწყვია, სახლი უკვე დამწვარი იყო.

—

ხონი. საზოგადო ცხოვრება ხონში იყოფება ორ ხანად, ერთი იწყება და თავდება ეგზამენების ციებ-ცხელებით. ამ დროს აქ საზოგადო ცხოვრება თითქმის მიყუჩებულია; ყველას თავისი საკუთარი საქმე აქვს. ეხლანდელი ცხოვრება კედლებს შიგნით იმალება. არსდება წვრილ-წვრილი წრეები, რომელთა წევრებს საერთო ინტერესი ქორების გარდა არაფერი არა აქვთ, იწყება განუწყვეტელი „კარტის" თამაში.

მეორე იწყება ივნისში, როდესაც ჩამოდიან აქაური მკვიდრნი მასწავლებელნი და მოსწავლენი და თავდება აგვისტოში, როდესაც ისინი მიდიან. ამ დროს საზოგადო ცხოვრებას მეტი სიცოცხლე ეტყობა; ჩნდება საერთო ინტერესებიც; იმართება კრებები სხვა-და-სხვა კითხვების გარდასაწყვეტად, იმართება წარმოდგენებიც. მექორეებისა და კარტის მოთამაშეთა რიცხვი მცირდება.

წელს ზაფხულში საზოგადო მოქმედების ასპარეზი მარტო მასწავლებელთ დარჩათ. ტყუილად-კი არა სთქვა ვიღაცამ: „ხონი მასწავლებელთა დაბაა". წელს ისინი ჰმართავდნენ კრებებს! ისინივე აწარმოებდნენ თეატრს.

ერთი კითხვა შეეხებოდა „მასწავლებელთა საზოგადო წიგნის მაღაზიის" გახსნას. ამისთანა მაღაზიის დაარსება, როგორც კრებებზე გამოაშკარავდა, მეტად მომწიფებული ყოფილა. ამ საგანზედ წინა წლებშიაც ჰქონიათ მოლაპარაკება. შარშან კიდევაც შეემუშავებიათ წესდებაც, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო საქმე ვერ დაებოლოვებინათ. წელს უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. წესდებას, რომელიც სახალხო ინსპექტორის ბ. მაჭავარიანის ხელით გაეგზავნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, თან გააყოლეს „**докладная записка**", რომელშიაც მოხსენებულია ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია აზრი საზოგადო წიგნის მაღაზიის გახსნისა. მთავრობა გულმხურვალედ მიეგება ამ აზრს.

ამ საქმეს ორნაირი სარგებლობა მოსდევს: ერთი ის, რომ მასწავლებლები ყოველთვის თავის დროზედ, უნაკლულოდ და იაფად შეიძენენ სასწავლო ნივთებს და მეორე ის, რომ, თუ მოგება იქნა, ის დარჩება ისევ ღარიბ მასწავლებელს.

მეორე კითხვა შეეხებოდა „მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების" დაარსებას. მაგრამ ამაზედ მხოლოდ ხმა იქმნა დაძრული და მეტი არაფერი. იმედია, ეს საკითხი გაის ზაფხულში მაინც გადაწყდება.

ამ კრებებზედვე მასწავლებლებმა მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ბ. შავდიას წასვლის შემდეგ თეატრში წარმოდგენები შესწყდა და გარდაწყვიტეს თვითონვე ეწარმოებინათ თეატრი, რისთვისაც იქმნა ამორჩეული კომიტეტი. ამ კომიტეტის ხელში თეატრში გაიმართა რამდენიმე სახალხო წარმოდგენა.

ხონიდგან ისე არ იგზავნება არც ერთი კორესპონდენცია, რომ სამკითხველო არ ახსენონ, მაგრამ არსებითს საგანს-კი არ ეხებიან. სამკითხველო მალე უკანასკნელ დღეს მოელის, იმიტომ რომ ფული არაა. საწევრო ფული, რომელიც სამკითხველოს წევრებმა თავისი ნებით იკისრეს სამკითხველოს შესანახავად, ნახევარიც არ არის მოგროვილი. რას შვრება გამგე? სრულიად არაფერს! წლიური კრებაც არ მოახდინა. ამ დალოცვილმა გამგეობაზედ უარი განაცხადა, მაგრამ ჯერ, სანამდის მთავრობა მის მაგიერს ვისმე დანიშნავდეს, ისევ ის ითვლება გამგედ. ჩვენგან ამორჩეული კომიტეტიც არაფერს არ აკეთებს. სწორედ სირცხვილი იქნება ხონის საზოგადოებისათვის, რომ მეორე წელიწადზედ სამკითხველო დაეხუროს.

ინი.

კავკასია

ბარის ოსეთი. წელს შემოდგომა ძლიერ ადრე დაგვიდგა. რვიდგან დაწყებული ამ თვის თოთხმეტამდის სულ განუწყვეტლივ იწვიმა. მედიდური კავკასიონის მთები და სოფლებიც სულ დათოვლა. თხუთმეტს გამოიდარა, მაგრამ სიცივე მაინც ძლიერია. თუ დარები არ დაიჭირა, სიმინდებს დასძრავს, რადგანაც შემოუსვლელი სიმინდები ბევრია.

—

ცარცვა და გლეჯაც არ მოისპო ჩვენში.

ფელეტონი

საზღვარ-გარედ

(წერილი უცხოეთიდან)

ბულგარელთა დღესასწაული.—რუმინელი ურიები და ამერიკის შეერთებული შტატები.—გერმანია.—ცოტა რამ ქართველებზე საზღვარ-გარეთიდგან.

ოც-და-ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შიპკაზე პირველად იგრიალეს რუსეთის ზარბაზნებმა ბულგარელთა ერის განსათავისუფლებლად; ოც-და-ხუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ოსმან და სულეიმან ფაშა, გურკო და ტოტლებენი მსოფლიო გმირებათ შეიქმნენ და მათი სახელი ისტორიაში დაუვიწყარი გახდა; მეოთხედი საუკუნეა მას შემდეგ, რაც ბულგარელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და ოსმალთა მტარვალობას ბოლო მოეღო, თუმცა ბულგარიაზე სუვერენობა ისევ სათათრეთს დარჩა.

ღირს-შესანიშნავი დღეა ეს დღე ისეთის პატარა ერისათვის, როგორიც ბულგარელებია. სულ სხვანაირად შეიცვალა ამ დღიდან ბულგარეთის და ბულგარების ცხოვრება. წინ მიდის დღეს ბულგარია კულტურულად და ეკონომიურად და ვინ იცის, თათრების ხელში რომ დარჩენილიყო, იქნება მათი სახელიც მალე მოსპობილიყო დედამიწის ზურგზედ.

დღეს, როდესაც ოც-და-ხუთი წელი შესრულდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბულგარელებმა მოინდომეს ღირსეულად მოეგონებინათ ეს შესანიშნავი დღე თავის მხსნელთათვის და შესაფერი პატივი ეცათ: მოიწვიეს რუსეთიდან საპატიო სტუმრები, სოფიაში ალექსანდრე II ძეგლს აკურთხებენ და შიპკაზე მართლ-მადიდებელთა ტაძარს *). ეს, ყოველივე რუსეთის პატივის საცემად ხდება, რომელმაც ამდენი ღვაწლი დასდო ბულგარიის განსათავისუფლებლად, მაგრამ ევროპის სხვა სახელმწიფოებს რაღა პატივი სცა ბულგარიამ? რასაკვირველია, არავითარი, რადგან მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ მის განთავისუფლების საქმეში. ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკათ ზოგიერთ გაზეთებს და რაღაც სხვანაირად დაიწყეს ლაპარაკი. გერმანიის დაწინაურებულ ქვეყანას ეძახიან და მისის დაწინაურების გამომხატველად, სხვათა შორის, მწერლობაც უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ხანდახან ეს პრესსა მისთანა რამეს მოაგწევდით, რომ კითხვის დროს ძალა-უნებურად ან გაგეცინებათ, ან-და განცვიფრებისაგან თვალებს დააჭყეტთ.

ჯერ სანამ დღესასწაული დაიწყებოდა ბულგარიაში, გერმანული გაზეთები ალაპარაკდნენ, რომ დღესასწაულმა შეიძლება რაიმე ცვლილება მოახდინოს ბულგარიაშიო, შეიძლება ფერდინანდს „კაროლის" ტიტული უძღვნან ევროპის სახელმწიფოებმაო, რასაც გაზეთები ფერდინანდს სულით და გულით უსურვებდნენ. დღესასწაული დაიწყო და გაზეთებმა კილო შეიცვალეს. თუმცა ბულგარიის შესახებ, ღვთის წინაშე, საწყენი არაფერი უთქვამთ, მაგრამ დღესასწაულმა საბაბი მისცა გაზეთებს მთელ სლავიანებზე თავისი აზრი გამოეთქვათ, სლავიანები დღეს კულტურულად წინ მიდიანო და, თუ გერმანელები არ დაჰხმარებოდნენ, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამდნენ წინაო. ერთი გაზეთი, მაგალითად, წუწუნით აუწყებდა თავის მკითხველებს, რომ გერმანელების სისხლმა სლავიანების შთამომავლობა გააუმჯობესაო, სლავიანებს მრავალი წარჩინებული კაცი და ქალი შესძინა, კულტურულად წინ წასწიაო. ეკატერინე II, მაგ., გერმანულის შთამომავლობისა იყოვო. თვით ტოტლებენი, რომელმაც ბულგარელები იხსნა თათრების უღლისაგან, გერმანელი იყოვო. ვიტტეც ხომ გერმანელია და სხვ. რომ ჩვენ არა, სლავიანების საქმე გლახად იქნებოდაო და დღეს-კი, მადლობის მაგიერ, მტრობას გვიწევენ, მაგ. პოლონელებიო.

ბულგარიამ ღირსეულად იდღესასწაულა უკვე თავისი ღირს-შესანიშნავი დღე, მაგრამ მისი მეზობელი რუმინია რაღას აკეთებს? ურიებს ამოჟლეტას უპირებს! მრავალ-ტანჯულმა ებრაელთა ერმა ვერც მეოცე საუკუნეში ამოისუნთქა თავისუფლად. არ იქნა, არ გათენდა მისთვის ისეთი ბედნიერი დღე, რომ მათ თავი კარგად ეგრძნოთ. მეოცე საუკუნეშიაც ისრე იტანჯებიან ებრაელნი, როგორც საშუალო საუკუნოებში.

რუმინიაში-კი სულ სხვანაირად ყოფილა ურიების საქმე. აქაური ურიები იმ მდგომარეობაში თურმე არიან, რომ წარმოდგენაც-კი ძნელია. რუმინიაში ურიებს ყოველივე აღკრძალული ჰქონიათ კანონის ძალით: არ შეუძლიანთ ივაჭრონ, სასწავლებლებში შვილები გამოზარდონ, კერძო ან სახელმწიფო სამსახურში შევიდნენ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღონ და სხვ. ერთი სიტყვით, რუმინიის კანონები ურიებს ყოველსავეს უკრძალავს. რუმინიის კანონების ძალით ურიებს შეუძლიანთ მხოლოდ ხელება დაიკრიფონ გულზე და სული განუტევონ.

მაგრამ ურიებს სულის განტევება არ ნდომებიათ და რუმინიის გაცლა ამჯობინეს: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. დღითი-დღე ასობით და ათასობით მიდიან ურიები ამერიკაში. თურმე ნუ იტყვით ბერლინის „მრავალ-კერძოვან" ტრაქტატში რუმინიის ურიებზედაც კი ყოფილა რაღაცა დაწერილი, მაგრამ ურიებმა ამით ვერ ისარგებლეს და ერთხელ კრინტიც არ დაუძრავთ; მაინც ამერიკის მთავრობას-კი არაფრად სიამოვნებია თურმე ამდენი დაუპატიჟებელი სტუმრები. ამერიკას შეშინებია, იმდენი ღარიბი ხალხი თუ მოგვაწყდა, ღარიბთა რიცხვი იმატებს, მთავრობას სარჩენად გაუხდება და ქვეყანა უკან დაიწევსო, ამის გამო ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების სეკრეტარმა ნოტით მიჰმართა რუმინიის მთავრობას, მოუხერხეთ რამე თქვენს ქვეშევრდომებს და მათი მდგომარეობა გააუმჯობესეთ, რომ ჩვენში აღარ გადმოსახლდნენო. რუმინიამ-კი წარბიც არ შეიხარა, პასუხიც არ მისცა. ამერიკა მაინც არ მოეშვა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობას აცნობა: რუმინიამ ბერლინის ტრაქტატი დაიცვას ურიების შესახებაო. ავსტრია-უნგრეთი რაღაც ნათესაურ დამოკიდებულებაში ყოფილა რუმინიასთან და ამერიკას შეუთვალა: მე ნუ გამაბამ ამ ხათაბალაში, გერმანიას მიმართეო. ამერიკაც ასე მოიქცა, მაგრამ გერმანიამაც სასაცილოდ აიგდო. ვისი რა მამიდა ხარ, ურიებისთვის რომ ჰზრუნავო.

როგორც ჰხედავთ, ევროპას ეწყინა ამერიკის თავხედობა, ჩვენ საქმეებს რა აკითხებს, ჩვენ უკეთ ვიცით ჩვენი საქმეებიო. ამერიკამაც იტკიცა ასე სასაცილოდ აგდება და თავის მეგობარ ინგლისს მიჰმართა: მაცნობე ეს ბერლინის ტრაქტატი რა არის, სავალდებულოა ვისთვისმე თუ არაო. სომხებს სათათრეთში ჰჟლეტენ, ურიებს—რუმინიაში და ევროპა ყურსაც არ იბერტყავსო. შეიძლება თვით ტრაქტატი ჩვენდა მოსატყუებლად იყოს დაწერილი; შენ მისის დაწერის დროს ბერლინში იყავ. განა ასე აბუჩად ასაგდები ტრაქტატი

---

*) დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ შიპკაზე ტაძარი უკვე აკურთხეს. რედ.

თითქმის ყველა მხრიდგან ისმის, ცხენი, ხარი მოიტაცესო, აქ კაცი მოკლესო და სხვა. ამ თვის სამს სალუგარდნელი ოსი ბესოლოვი მძიმედ დასჭრეს ავაზაკებმა.

ხუთს ამ თვეს სოფელ ოლგინსკის სიმინდების პირში, ერთი მთის სოფლელი ოსი თავის ორ ცხენს აძოვებდა და თვათ შორი-ახლო წამოწოლილი იყო. უცბათ სიმინდებიდგან გამოუცვივდნენ სამი ცხენოსანი ქიშტი, გაიტაცეს ეს ორი ცხენი და გაკურცხლეს. პატრონი წამოხტა, დაჰყარეთ ცხენებიო, მიაძახა, მაგრამ ქიშტებმა ყურიც არ გაიბერტყეს. მაშინ ცხენების პატრონმა ოსმა წამოურბინა წინ, უცადა და ქიშტები რომ მოუახლოვდნენ, აჰქა ბერდანის თოფი და გადმოაგდო ცხენიდგან ერთი ქიშტი. ავაზაკებმა ახლა-კი ანებეს ცხენებს თავი, გაიტაცეს თავიანთი მკვდარი ამხანაგი და გაჰკურცხლეს.

ყელჭირვება თანდათან ედება სოფლელებს. ამბავი მოიტანეს, ჩერქეზების სოფლებშიაც ძრიელ მოდებულია ყელჭირვებაო. საქმე გიზელებისა, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგობა ჰბრალდებათ, ამ თვის ცხრიდგან ირჩევა ვლადიკავკავის ოლქის სასამართლოს მიერ ხალხის დაუსწრებლად. პასუხის გებაშია 44 კაცი, მათ შორის ორი მასწავლებელი, ერთი კავკავის მომრიგებელ-სასამართლოს სიეზდის მდივანი და ერთი კავკავის რეალურ სასწავლებლის ეკონომი. ამ საქმეზედ 195 კაცი მოწმე არის მიწვეული. ერთმა მოწმემ მასწავლებელმა ცალაგოვმა წარსულ მარიამობისთვის თოთხმეტს სატუსაღოში კალმის დანით ყელი გამოიჭრა...

ქართველი ოსებში.

უცხოეთი

საფრანგეთი. კაბინეტის წევრნი ამ უკანასკნელ ხანებში ხშირად ესწრებიან სხვა-და-სხვა შესანიშნავ შემთხვევასა და სიტყვებს ამბობენ. მაგალითად, ვაჭრობის მინისტრმა ტრუიომ სიტყვა წარმოსთქვა სენ-მეკსანში გამბეტას ძეგლის კურთხევის დღეს.

ორატორმა სთქვა, ყოვლად სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომ განსვენებული ეკლესიებისა და კონგრეგაციების მეგობარი ეხლანდელ „შემოერთებულების" წინამორბედი იყოო. თუ მართალი გნებავთ, გამბეტას პროგრამმა თითქმის იგივე იყო, რაც ჩვენ დღესა გვაქვსო. იგი თავგამოდებით იბრძოდა დემოკრატიულ რეფორმებისათვის, ითხოვდა შემოსავლის მიხედვით გადასახადის გაწერას, მედგრად ეწინააღმდეგებოდა კლერიკალიზმსა და კონგრეგაციებს, რომელთა ასალაგმავად იგი უფრო სასტიკ ზომების მიღებას ურჩევდა მთავრობას, ვიდრე ჩვენაო. ერთი სიტყვით გამბეტა სულით და გულით რადიკალურ რესპუბლიკის მომხრე იყოო.

იმავ დღეს ახალშენთა მინისტრმა დუმერგმა ილაპარაკა სენტ-ამანში ნადიმზედ და გადაჭრით განაცხადა, მთავრობა არავის არ დაუთმობს და უშიშრად ბოლომდე გაიყვანს თავის პროგრამმასაო.

ზოგიერთნი არავითარ საშუალებას არა ზოგავენ, რომ როგორმე შეურაცხჰყონ მთავრობა, მაგრამ იმას-კი ვერ მიმხვდარან, რომ სწორედ ამით სახელს უკეთებენ მთავრობასაო. მოწინააღმდეგენი დაეჩვივნენ, რომ მთავრობა დააკანონებდა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მაგრამ სისრულეში-კი არ მოჰყავდა იგი. ახალი სამინისტრო-კი სულ სხვა თვალით უყურებს ამ გარემოებას: მას გადაწყვეტილი აქვს არამც თუ თავისი განკარგულებანი მოიყვანოს სისრულეში, არამედ მის წინამოადგილეთა მიერ დაკანონებული გარდაწყვეტილებანიც-კიო.

— სექტემბრის 16-ს ხელახლად ილაპარაკა ჟორესმა სანში რევანშის წინააღმდეგ.

ორატორმა განაცხადა, სოციალისტთა დასის ერთ-ერთს საჭირო საგნად ის შეადგენს, რომ გლეხ-კაცობასა და მუშებს ომი შეაძულოსო. „ერთი ნაწილი ბურჟუაზიისა, იმ იმედით, რომ როგორმე დააგვიანოს სოციალურ საქმის გადაწყვეტა, ნაციონალიზმს, შოვინიზმსა და მილიტარიზმს ჰქადაგებს. ნამდვილად-კი გერმანიასთან ომი არავის არა სურს. საფრანგეთის რესპუბლიკისათვის მხოლოდ ერთი რევანშია საჭირო—ხელი შეუწყოს მშვიდობიანობის დამყარებას და დემოკრატიის განვითარებას ევროპაში. ელზას-ლოტარინგიას სრულიადაც არა სურს ხელ-მეორედ გახდეს საფრანგეთისა და გერმანიის ბრძოლის ველად. ზოგიერთებს ჩვენი სამშვიდობო იდეალი ოცნებათ მიაჩნიათ, მაგრამ, რით უნდა აიხსნას, რომ მთელის 33 წლის განმავლობაში, რაც ახალი ევროპა არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ ჰქონია საკმაო მიზეზი ომის ასატეხად, ერთი უბრალო შეტაკებაც-კი არ მომხდარა მათ შორის; ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყველასათვის მხოლოდ მშვიდობიანობაა სასურველი და სხვა არა-რა.

ინგლისი. ირლანდიის საქმეები დღითი-დღე რთულდება და მწვავდება. გასულ შაბათს ირლანდიის შეერთებულ ლიგის ლემირიკის კომიტეტის მდივანს მიუსაჯეს სამი თვით დაპატიმრება საკატორღე საპყრობილეში, რადგან მთავრობის დამქრება ჰბრალდებოდა. დუბლინის ლორდ-მერმა მომავალ პარასკევსავე მოახდინა კრება ამ აზრით, რომ საქვეყნოდ გამოეცხადებიათ თანაგრძნობა მათთვის, ვინც დამჩაგვრელთა წინააღმდეგ იბრძვის და დაეგმოთ მთავრობის პოლიტიკა, რომელსაც სწადიან სრულიად გაანადგუროს მთავრობის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და მოსპოს ირლანდიის თავისუფალ აზრთა ორგანი.

სხვა-და-სხვა წერილები

ქუთაისის სათავად-აზნაურო კრება უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთის მოხმარების თაობაზედ *)

მწარე, სამწუხარო ფიქრები აღგვიძრა ხსენებულმა კრებამ. პირველად ის არის სამწუხარო, რომ კრება ისეთს დროს დაუნიშნავთ, როდესაც წევრთა მომეტებული ნაწილი კრებას ვერ დაესწრებოდა. მაგრამ ყველაზედ უფრო სამწუხარო და სავალალო ჩვენი ახლად-გამოსულ ორატორების სიტყვებია.

დავიწყოთ ბ-ნ გ. ქორქაშვილიდგან, რომელიც ბრძანებს: „მე არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, რომ გიმნაზია-გათავებულს სიღარიბის გამო ვერ მოეხერხებინოს სწავლის განგრძობაო". თქვენ რომ არ იცოდეთ, ბ-ნო, ეს რა საბუთია! ამას გარდა, თვით თქვენა ბრძანებთ, რომ სტუდენტებს გული და ფილტვები უფუჭდებათო. მაშ რადა სწავლაა ის სწავლა, რომელიც სნეულად გაგხდის! „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია", სთქვა ბრძენმა შოთამ.

ჩვენში სწავლის მსურველი ბევრია, ეგზამენს კარგად იჭერენ, მაგრამ სკოლის გარეშე რჩებიანო, ბრძანებთ. გეთანხმებით. მაგრამ, ნუ-თუ 20,000 მანეთით ყველას მოვადებინებთ?! 20,000 მანეთი განსაზღვრული ფულია და არც მაგდენად დიდი. აქ საკითხავი მხოლოდ ის არის, რომ მივანიჭოთ თუ არა ამ ფულით მცირე სწავლა 400 ყმაწვილს, თუ აღვზარდოთ უმაღლეს სასწავლებლებში 40 ყმაწვილი. დიად, ყველამ უნდა თანაუგრძნოს ბ-ნ კირილე ლორთქიფანიძის აზრს, თუმცა-კი ერთის პირობით, რომლის შესახებაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

„ბლამანჟეებს" ვერც 30 მანეთი აჭმევს სტუდენტსაო, დასძენს ბ-ნი გ. ქორქაშვილი. მთელს სადილებს ხომ აჭმევს ეგრედ-წოდებულ „ნახევარ-სადილების" მაგიერ, რომელიც ნამდვილად მეოთხედ სადილსაც არ შეადგენს! და ეს ხომ, წინააღმდეგ ბ-ნ ქორქაშვილის სიტყვისა, დიდი დახმარება იქნება სტუდენტისათვის.

ბბ-ნნი ს. ჯაფარიძე და იაშვილი ბრძანებენ, ვინც გიმნაზიას ათავებს, ის თითონ გაიკაფავს გზასაო. შეცდარი აზრია. სტუდენტების უმრავლესობა, როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, ღონე-გამოლეული და დასნეულებული ბრუნდება სამშობლოში. ამით აიხსნება, რომ მერე იგინი ვეღარაფერს აკეთებენ და მალე ურიგდებიან ცხოვრების ამაოებას.

ბ-ნი ნორაკიძე ბრძანებს, რომ სტიპენდიებით ისარგებლებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც დამტკიცებულნი არიან თავად-აზნაურებადო, მაშასადამე, სამეგრელო ვერ ისარგებლებსო. მაგრამ, თუ სამეგრელოს თავად-აზნაურთა შვილებს სტიპენდიები არ მოახმარეს, ცხადია, არც დაბალ სასწავლებელში შესვლის ნებას მისცემენ, იმ სასწავლებელში, რომელიც თავად-აზნაურთა შვილთათვის იქნება დაარსებული.

მეტი საბუთიანობა ჩანს ბ-ნ ჯორჯიკიას სიტყვებში. სათავად-აზნაურო სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთება დიდი საქმეა და ძნელი გადასაწყვეტი. ამ საქმისაკენ უნდა გადიხაროს სასწორმა, თუ სტიპენდიის დაარსების საქმისაკენ. სამართლიანად ამბობს ბ-ნი ჯორჯიკია, რომ შესაფერი მომენტიც ხელთა გვაქვს და საჭიროა ამ მომენტით ვისარგებლოთო. რაც შეეხება-კი მის მსჯელობას კულტურის შესახებ, ცხადია, უმჯობესი იყო, ამ საგანზედ სრულიად არა ეთქვა-რა.

გაკვირვებთ ახლა ბ-ნ „ივანე ჯაფარიძის" სიტყვა. იგი ბრძანებს: სტუდენტს პირადი შრომით შეუძლია იცხოვროსო. შეცდარი აზრი გახლავთ. სამუშაო, „გაკვეთილი", ყოველთვის ადვილი საშოვარი არ არის, ხან არის, ხან არა. ცხადია: გუშინდელი სადილი ზეგ ვერ შეგარგებს. მეორე, ბ-ნი ჯაფარიძე დარწმუნებულია, რომ, თუ-კი სტუდენტმა მოინდომა, უთუოდ იშოვის 20—25 მანეთიან გაკვეთილსაო. ესეც ხომ შეცდარი ფიქრია. ხშირად სტუდენტი კმაყოფილია, თუ-კი თუმნიან გაკვეთილს წააწყდა სადმე. მესამე: ქართველი სტუდენტისათვის ძნელია გაკვეთილის შოვნა რუსეთში, რადგან „აქცენტს", რუსულ ლაპარაკს აქცევენ ყურადღებას. მეოთხე: ბევრ ახალგაზრდას, ხიჭვიერიც რომ იყოს, არ ძალ-უძს სწავლება თავის ნერვების სისუსტის გამო ან თავის პედაგოგიურ გამოუცდელობის მიზეზით. მეხუთე: პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი შრომა და ენერგია სჭირდება. სტუდენტს-პედაგოგს აღარ დარჩება საკმაო დრო, რომ თვით ისწავლოს. საშუალო რიცხვით ლექციებზე მოუნდება დღეში ოთხი საათი. სასადილოს დალოდინ-დაქანცულმა სამი საათი რომ კიდევ ბავშვის უთავ-ბოლო ჩიჩინს შეალიოს თავისი ძალი და დონე, თვითონ როდის-და იმეცადინოს, როდის-და ისწავლოს რამე. ამიტომაც არის, რომ ბევრი შიმშილს არჩევს, ვიდრე „გაკვეთილის" აღებას. ბ-ნ ჯაფარიძის მსგავსებს ამგვარი სტუდენტები ალბად ზარმაცები ჰგონიათ. რა უცოდინარობაა ადამიანის სულისა!

დიად, სტუდენტმა მთელი თავისი დრო თავის სწავლას უნდა მოახმაროს. ოთხი წელიწადი, რაც ხანსაც უნივერსიტეტში რჩებიან, ისეც ცოტაა და ნუ-თუ ეს საუკეთესო დრო, რომელიც ვეღარ აღარასოდეს დაუბრუნდება, ტყუილად უნდა დაიკარგოს?? ჩვენ ხომ მარტო დიპლომიანები არ გვინდა!

უნივერსიტეტის მთავრობა ათავისუფლებს კარგად მოსწავლე სტუდენტებს სასწავლო გადასახადისაგან, ბრძანებს ბ-ნი ივანე ჯაფარიძე. მერე რა? მარტო ეს ეყოფა?! იგივე მთავრობა აძლევს სტუდენტს წელიწადში ამას გარდა კიდევ 50—65 მანეთსაც. ძლიერ იშვიათად, ბ-ნო ივანე ჯაფარიძე. საზოგადოდ სტუდენტებისათვის ისეც დიდი ღვთის წყალობაა ხოლმე, თუ-კი სასწავლო ფული აპატიეს.

იაფ-ფასიანი სასადილოები! ოჰ, ღმერთო, რამდენი მინახავს სტუდენტი, რომ ამგვარ სასადილოებში ეგრედ-წოდებულ ნახევარ სადილებს სჭამენ წლითი-წლობით! ნუ-თუ არ შეგიმჩნევიათ, ბ-ნო, ამგვარი სადილები?!

საერთო საცხოვრებელი ბინები, ე. ი. სტუდენტების პანსიონები! მაგრამ ამაზე ხომ ლაპარაკი არა ღირს.

მესამე: ახალ-გაზრდა ნასტუდენტარი ბ-ნი იასონ ბაქრაძე-კი, ბ-ნ ივანე ჯაფარიძის საწინააღმდეგოდ ბრძანებს შემდეგს: „მე იშვიათად მინახავს სტუდენტი, რომელსაც ყოველთვის ჰქონდეს სადილი, პური და შაქარი, თუმცა ზოგს ფული სახლიდგან გაცილებით მეტი მისდის, ვიდრე ჩვენ სტიპენდიის სახელით ვპირდებითო". თუ ასეა, თუ კი ხან-და-ხან იმასაც-კი უჭირს, ვისაც თვეში 40 მანეთი მისდის, რაიღა უნდა ვსთქვათ იმაზე, ვისაც თუმანიც არ მისდის?!

ეჰ, ბ-ნო გ. ქორქაშვილო, ბ-ნნო ჯაფარიძენო და ბ-ნო ბაქრაძე, სჩანს თქვენ სტუდენტური გაჭირვება არ გინახავთ, ან არ გამოგიცდიათ, თორემ ამისთანა რამეებს არ იტყოდით. ყოველ ღარიბის სტუდენტის გული-კი, როცა თქვენს მჭევრმეტყველებას წაიკითხავს, შეძრწუნდება და უმისოდაც ნაღვლიანი კიდევ უფრო ნაღვლით აივსება.

დიად, სტუდენტებს ეჭირვებათ შველა, სტიპენდიების დაარსება მათთვის აუცილებელია.

რაც შეეხება საკითხს, რას უნდა მოხმარდეს ხსენებული 20,000 მანეთი, ამის შესახებ მე უკვე გამოვსთქვი ჩემი აზრი. მე უპირატესობას ვაძლევ ქალთა სასწავლებელს, რადგან: 1) ქალების აღზრდა საზოგადოდ უფრო ძნელია, ვიდრე ვაჟებისა; 2) ვაჟების აღზრდა ბევრად უფრო წინ არის ჩვენში, ვიდრე ქალებისა. ჩვენში საზოგადოება წარმოადგენს ამ მხრივ ცალ-თვალა არსებას. აღზრდამ მიიღო ცალ-კერძი მიმართულება. ჩვენ ვემსგავსებით, ქალების გაუნათლებლობის გამო, აღმოსავლეთის ერს. ჩვენი ცხოვრება უძრავია, წინ არ მიდის, რადგან პროგრესის ეტლში ქალი არ არის შებმული. ცხოვრების წინსვლა შეუძლებელია უქალოდ.

აი ამიტომ გარჩიეთ ქალთა სასწავლებელი.

ხოლო, გარდა ამისა, ყოველსავე სხვა სასწავლებელს ისევ სტუდენტთათვის სტიპენდიების დაარსება სჯობია.

ვასილ წერეთელი.

---

*) იხ. „ივერია" №№ 193 და 194, აგრეთვე „ცნ. ფურც." №№ 1917, 1918, 1919, 1920 და 1921.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. გუშინ, 22 სექტემბერს, ალექსი-მესხიშვილის, კ. ყიფიანის და ტასო აბაშიძის მონაწილეობით დაიწყო აქ ქართული დასის წარმოდგენები. წარმოადგინეს სუმბათაშვილის დრამა „ბორკილი". წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; თეატრი სავსე იყო მაყურებლებით.

წერილები რედაქციის მიმართ

I

18 სექტემბერს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ კრებაზედ, როგორც კომიტეტის, ისე გამგეობის წევრებმა ერთხმად, გარდა თავმჯდომარის მელნიკოვისა, გადასწყვიტეს, რომ დამფასებელ კომისიის წევრები, ნაცვლად ძველებისა, იმავე კრებაში არჩეულნი ყოფილიყვნენ და ამ შინაარსის ოქმიც შედგენილია. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის მახლობელს ნომერში მისცეთ ადგილი ჩვენს განცხადებას, რომ „ივერიის" № 202 მოყვანილი ცნობა ქუთაისიდგან, „ვითომც გამგეობა ძველი დამფასებლების დატოვების მომხრეაო", მოკლებულია საფუძველს.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის წევრნი:
ი. პ. ჯაიანი.
ვ. ნ. აბულაძე.

II

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრივ ისე გამგეობის მონდობილობით, შემდეგ პირთ: საოსტატო სემინარიის დირექტორს ბ-ნ მოხირს, რომელმაც ბიბლიოთეკას შემოსწირა 120 რუსული წიგნი; პოლკოვნიკის ქვრივს ქ-ნ მ. ქუთათელაძისას გოგოლის 12 წიგნის, 17—რუსული სხვა-და-სხვა წიგნებისა და გაზეთის „Аргонавтъ-"-ის შემოწირვისათვის; ელენე ი. გომართელისას, რომელმაც შემოსწირა კედლის საათი; ნინა პ. ქუთათელაძეს, ჟურნალ „Вѣст. всемирн. исторіи" 6-ის წიგნის შემოწირვისათვის, ვლადიმერ გ. ქუთათელაძეს 8 ქართული წიგნისათვის და სხვათა, ვინც აღმოუჩინეს შემწეობა ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკის ზედამხედველი მ. ქუთათელაძე.

ბიბლიოგრაფია

Д-ръ М. Гедевановъ. Организація учрежденій для душевно-больныхъ въ связи съ воззрѣніями на существо и леченіе душевныхъ болѣзней.

ახალის სტატისტიკით, ერთი შეშლილი მოდის 200—350—500 კაცზედ. ყოველ 1000 კაცზედ ერთი ისეთია, რომ საგიჟეთში უნდა მოთავსდეს. ამ ანგარიშით, ამიერ-კავკასიაში 16,500 სულით ავადმყოფი უნდა იყოს. ვარაუდით ტფილისში, საცა ითვლება 160,000 მცხოვრები, იმავე ანგარიშით, უნდა ჩაითვალოს 480 სულით ავადმყოფი. მიზეზი ავადმყოფობისა მრავალგვარია.

ავტორი, განიხილავს-რა სულით-ავადმყოფთა მდგომარეობას, მოვლასა და სხ., ამტკიცებს, რომ დროა ჩვენშიაც მოვაგვაროთ სულით ავადმყოფთათვის დაწესებულებანი, თანახმად აწინდელ დროის სამკურნალო მეცნიერების შეხედულობისაო.

შინაარსი წიგნაკისა წაკითხულ იქმნა ავტორის მიერ 18 აპრ. 1902 წ. კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წლიურ კრებაზედ.

შემოწირულებანი.

ამასთანავე გაახლებთ ჩემ მიერ შეგროვილს თვრამეტ (18) მანეთს, ბორჩალოს მაზრის სოფ. ეკატერინენფელდის ქართველთათვის სკოლისა და ეკლესიის ასაგებ თანხის მისამატებლად.

აქვე გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში" შემომწირველთა სახელი

შეიმუშავეთო??

ინგლისიც დატრიალდა თქვენდა მოწონებულად და დეპეშები დეპეშებზე აფრინა ბუხარესტში: ეს რა ამბავიაო. რუმინია ჯერ გაყუჩდა, იქნება ინგლისმა თავი დამანებოსო, მაგრამ, როდესაც ინგლისი არ ჩამოეხსნა, რუმინიამ თავის ლონდონელ ელჩის პირით თავი მოუქონა. სულ ტყუილია, რაც თქვენთვის მოუხსენებიათ: ურიების მდგომარეობა რუმინიაში სწორედ რომ ჩინებულიაო. ინგლისი სახტად დარჩა ამ პასუხის გამო, მაგრამ ელჩის სიტყვებს აგრე ადვილად არ დაერწმუნა, ეჭვით შეხედა, მაგრე რომ ყოფილიყო, ამერიკა ტყუილს რად მეტყოდაო. ამის გამო ინგლისმა კიდევ სთხოვა რუმინიის მთავრობას, რაიმე ღონისძიება მიიღეთ და ბერლინის ტრაქტატი აასრულეთ ურიების შესახებო. თვით ურიებს-კი თვისი თანაგრძნობა გამოუცხადეს. რუმინიის ელჩმაც ვეღარა უთხრა-რა საწინააღმდეგო და გულუბრყვილოთ მოახსენა: სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ მთავრობამ ვერას გზით ვერ შეაჩერა ებრაელების გადასახლებაო.

კარგი პასუხია?! ახლა ისღა აკლია რუმინიას, რომ კანონი გამოსცეს, ებრაელებს გადასახლებაც აუკრძალოს. მაგრამ რაკი ინგლისმა იკისრა საქმის მოწყობა, შეიძლება ეშველოს რამე ურიების მდგომარეობას. გაზეთები-კი ამერიკას სწყევლიან: ვინ ეხვეწებოდა, წყალი რად აგვიმღვრიაო. სიონისტებიც შესჩერებიან ამ ამბავსა და ჰგონიათ, ებრაელები ფრენას რომ ისწავლიან, მაშინ უკეთ გადავასახლებთ პალესტინაში, რადგან ახლა ფული არა გვაქვს და მაშინ-კი აღარ დაგვჭირდებაო.

რუმინიას ეხლა გაუჩნდა ნაციონალური საკითხი საჭირ-ბოროტოდ და გერმანიამ-კი კარგა ხანია გადასწყვიტა იგი თავის სასარგებლოდ. გერმანელ პოლიტიკოსების აზრით, გერმანიაში გერმანელის მეტმა არავინ არ უნდა გაიჭაჭანოს. ხან-და-ხან ისეთი პოლიტიკოსებიც მოევლინება ხოლმე გერმანელებს, რომ მათი სიბრძნე ღიმილს მოგგვრით. დღევანდელი გერმანია „პატარა გერმანიათ" უნდა იწოდებოდეს, დიდი გერმანია-კი ვოლგის ნაპირებამდე მიაწევსო. სლავიანები აზიიდგან მოსული ხალხია, გერმანიის მიწა-ადგილზე დასახლდნენ და ბარგს რომ აიკრავდნენ, ძალიან კარგს იზამენო".

კბილის ჭიათ გერმანელებს პოლონელები გასჩენიათ. უნდათ მოსპონ ეს ერი, მაგრამ თურმე საქმე ისე მიდის, რომ სილეზიაში და პოზნანში გერმანელები ისპობიან და მათი უზარმაზარი ადგილები პოლონელებს უვარდება ხელში. გაზეთებიც ამხედრდნენ და მიჰმართეს ყველა გერმანელს თხოვნითა და მუდარით: რაც უნდა გაგიჭირდეთ, პოლონელებს ადგილ-მამულს ნუ მიჰყიდითო.

გერმანელების მეორე კბილის ჭია სოციალისტები არიან. ბაჟების შემოღების გამო რეიხსტაგის სხვა-და-სხვა დასმა ლამის ერთმანეთი დაჰგლიჯონ. მალე რეიხსტაგი დაიწყებს მოქმედებას და დასთა ცხარე შეტაკებას ვნახავთ. ნიშნები-კი ახლავე სჩანს. ზაფხულში რეიხსტაგმა მოქმედება შესწყვიტა და წევრებს დასვენების ნება მიეცათ რამდენისამე თვით. ამ შემთხვევით ისარგებლეს თავისუფლებმა და რეიხსტაგის დასებმა წლიური კრებანი, პარტაიტაგები მოახდინეს. თითქმის ყველა დასმა მოახდინა კრება და თავისი აზრი გამოსთქვეს მომავალ პოზიციის და მოქმედების შესახებ. რაიხსტაგში ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან, მაგრამ ცენტრის და სოციალისტების ერთმანეთში განსხვავება თვალსაჩინოა და საგულისხმიეროა. პირველად ცენტრის „მამებმა" მოახდინეს კრება და სოციალისტები ლოზათიანად მილანძღეს. ცენტრის მამებს იმედი ჰქონდათ სოციალისტების დასში განხეთქილება ჩამოვარდა (ბერნშტეინის გამო), წრევანდელ კრებაზე თავს იჩენს ეს განხეთქილება და იქნებ ცოტათი მაინც მოვისვენოთო. მაგრამ მოხდა მიუნხენში კრება და განხეთქილებაზე ლაპარაკიც არ ჩამოვარდნილა. იყო-კი რაღაც წვრილმანები, მაგრამ იმაზე ბევრი არ ულაპარაკნიათ. ეს ამბავი ეკალივით მოხვდათ გულში ცენტრის მამებს და ერთხელ კიდევ შეუკურთხეს სოციალისტებს: მათმა მეთაურებმა ბურთი ჩასჩარეს პირში დანარჩენებს და ერთი სიტყვაც არ წამოაჭმევინეს კრებაზეო. თვით სოციალისტებს ეს სიტყვები სასაცილოდ მიაჩნიათ და პასუხიც არ გასცეს. მხოლოდ „Frankfurter Zeitung"-მა გამოარკვია, თუ რაში მდგომარეობდა საქმე. „მართალია, ამბობდა გაზეთი, სოციალისტებმა წრეულს ყოველივე დაივიწყეს თავის პარტიის შესახებო, მომავალ წელს რეიხსტაგი უნდა განახლდესო. სოციალისტებმაც ამას მიაქციეს ყურადღება. პარტიის საქმეების გადაწყვეტა გაისათაც შეიძლება, წელს-კი ცენტრს უნდა ებრძოლოს, რომ ამორჩევნებში გაიმარჯვოსო. მისი უკანასკნელი სიტყვაა: ვებრძოლოთ ცენტრსაო. სოციალისტებმა კრება გაათავეს და ცენტრს ბრძოლაში დამარცხება უსურვეს. ამის შემდეგ ბებელმა რამდენიმე კრება გამართა სხვა-და-სხვა ქალაქში. ერთ კრებაზე ცენტრის მამა მოიწვია: შორიდგან რომ ილანძღები, ახლოს დაველაპარაკოთ ერთმანეთსაო. მაგრამ... ცენტრის მამამ კრებაზე მისვლა არ იკადრა და მგონი, როგორც ირწმუნებიან, ვერ გაბედა. როგორც ბებელის სიტყვებიდგანა სჩანს, სოციალისტებს რეიხსტაგში ობსტრუქცია განუზრახავთ [1], თუ მთავრობამ ბაჟების შემოღებაზე ხელი არ აიღო. თუ ეს ასე მოხდა, ადვილი შესაძლებელია ობსტრუქციას არეულება მოჰყვეს მთელ გერმანიაში. ჯერ ასეა საქმე და ახლო მომავალი გვაჩვენებს კიდევ ყველაფერს.

დასასრულ, ცოტა რამ ჩვენზე—ქართველებზეცა ვსთქვათ: მოგეხსენებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენმა თანამემამულემ ფ. გოგიჩაიშვილმა სამეცნიერო წიგნი დაბეჭდა გერმანულ ენაზე, სადაც, სომხების აზრით, ავტორი სომხებს ცუდათ უნდა იხსენიებდეს. პირველად ეს ამბავი ბ-ნ იშხანიანმა გვაუწყა „მშაკში". ახლა ვიღაც „იანც"-მა წერილი დაჰბეჭდა საზღვარ-გარეთის ერთ დროგამოშვებით გამოცემაში. ჯერ რასაკვირველია შეაქო სომხები: მათი გმირობა, ვაჟკაცობა, მამაცობა, გამჭრიახობა და სხვ. და ბოლოს სწვდა ქართველებს. სომხებს ჰგონიათ, ქართველები თუ ვაძაგეთ და ჩვენი თავი შევაქეთ, ევროპიელებს ძალიან მოვეწონებითო. მაგრამ აქაც შეუტყეს ეს ხრიკი. „იანცი" არწმუნებს ყველას, რომ ქართველებს ისე ვძულვართ, რომ გადაყლაპვას გვიპირებენო და ერთმა მათგანმა (იგულისხმე გოგიჩაიშვილი) სადოქტორო დისსერტაციაშიც-კი გაგვლანძღაო. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო! გოგიჩაიშვილმა სომხების შესახებ მოიყვანა არტურ ლაისტის და სხვათა სიტყვები იმის გამო, თუ როგორ მისდევენ სომხები ვაჭრობას საქართველოში. „იანც"-ს რომ არტურ ლაისტის წიგნი გაერჩია, მაშინ სულ სხვა ამბავი იქნებოდა. მაგრამ, როგორც სჩანს, ა. ლაისტს მართალი უთქვამს და ამას გაუჯავრებია იშხანიანი, იანცი და ძმანი მათნი.

ხან-დენი.

---

[1] ჩვენი მამები რომ ყოფილიყვნენ, ერთხელაც არ დაესწრებოდნენ კრებას.

და გვარი და შეწირულობის რაოდენობა.

ნადეჟდა მიხეილის ასულმა	3	მან.
სოსიკო მერკვილაძემ	2	—
იასე რაშველმა	2	—
მიტროფანე ლადიძემ	2	—
ნოე აბრამიძემ	2	—
იაკობ ჩიმაკაძემ	2	—
გიორგი გორდაძემ	2	—
ედუარდ საკაშვილმა	1	—
გიორგი ცინცაძემ	1	—
პეტრე საკაშვილმა	1	—
ფრანცისკო გიორგაძემ	1	—
სულ	18	—

სოსიკო მერკვილაძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 სექდემბერი

შადრინსკი. კურგანს, იალუტროვისა და შადრინსკის მაზრებში, ერბოს წარმოების გავრცელების გამო, არსდება პირველი სკოლა წველა-დღვებისა.

ხარკოვი. 26 ენკენისთვეს იქნება კურთხევა შარშან დაარსებულის სუმის კადეტთა კორპუსისა, აკურთხებს არქიეპისკოპოსი ფლაბიანე.

პარიჟი. მინისტრთა საბჭოში დელკასემ განაცხადა, რომ მან და სიამის მინისტრმა დღეს კონვენციას მოაწერეს ხელი, რომელიც ორთავე სახელმწიფოს შორის სადავო საქმეებს აწეს-რიგებს.

ნიუ-ორკი. პენსილვანიის ნაციონალური გვარდია გამოიწვიეს სამსახურისათვის გაფიცვის ადგილას.

სევასტოპოლი. მესამე საათი იქნებოდა, კონსტანტინეპოლიდგან ჯავშნიანის გემით „გიორგი ძლევამოსილით“ მობრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოოზის ძე და იმავ წამს ცხენით წაბრძანდა ლივადიას.

ბელგრადი. გუშინდელი კრება მაკედონიის კონგრესისა აღკრძალა პოლიციამ ყვირილით უწესოების მოხდენის გამო.

კონსტანტინეპოლი. იმ ხმებისა გამო, რომ დარდანელში შეუშვეს „გიორგი ძლევამოსილი“, პორტას ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, ხელშეკრულობანი არ ირღვევა იმ სამხედრო გემების შემოშვებით, რომლებზედაც არიან ხელმწიფენი ანუ მათნი წარმომადგენელნი პრინცნიო.

პარიჟი. რესპუბლიკის სავაჭრო და სამრეწველო კომიტეტის წლიურს ბანკეტზე ტრუილიომ, ბრისონმა და კომბმა წარმოსთქვეს სიტყვები. კომბმა მადლობა გადაიხადა იმ მოწონებისათვის, რომელიც მთავრობას გამოუცხადეს ორატორებმა. „ვალდეკ რუსოს პოლიტიკა შეუცვლელად შთება. მისწრაფება და მოვალეობა, აღნიშნული სამინისტრო დეკლარაციაში, ოდნავ ნაჩვენებია, გარნა მთავრობას საკმაო სიმხნევე ექნება მის განხორციელებისათვის. მთავრობა მზრუნველობით ეკიდება ვაჭრობისა და წარმოების საქმეს და აწ შინ მყუდროებაა, ხოლო ქვეყნის გარეთ—მშვიდობა. 1870 წლიდგან საფრანგეთი სამშვიდობო პოლიტიკას ადგა; არც ერთი სხვა სახელმწიფო საფრანგეთზე მეტად არ იცავდა მშვიდობიანობას, არც ეჭირა მეტად საერთაშორისო სამედიატორო სამართლის მხარე. ნაციონალიზმი სცდილობს შეაცდინოს საფრანგეთი და ომისა და დაპყრობათა გზაზედ დააყენოს, გარნა საფრანგეთმა ზიზღით უარჰყო ომიცა და რეაქციაც. საფრანგეთი მშვიდობის მოყვარეა, გარნა არა სისუსტით; საფრანგეთს ჰყავს ლაშქარი, რომელიც ვაჟკაცობითა და რიცხვით არც ერთს სხვა სახელმწიფოს ლაშქარს არ ჩამოუვარდება. სარესპუბლიკო საფრანგეთი გატაცებულია განათლებისა და ცივილიზაციის დოქტრინებით, რომელთა აზრიც ის არის, რომ აცილოს თავის ერს ომი და სისხლის ღვრა. ისარგებლეთ ამ მშვიდობით, რომელიც დღეს უფრო მკვიდრია, ვიდრე ოდესმე, რადგან საფრანგეთს კეთილი მეზობლობა და მეგობრობა აქვს ყველა სახელმწიფოსთან. მთელმა ქვეყანამ აღიარა, რომ ჩვენი გარეშე პოლიტიკა დამყარებულია მტკიცე კანონიერებაზედ. ეს არის მიზეზი, რომ რესპუბლიკას ჰყავს ყოვლად ძლიერი მოკავშირე, აქვს მეგობრობა სახელმწიფოებთან დ ყველანი პატივის-ცემით ეკიდებიან. ამიტომ საფრანგეთის რესპუბლიკას არ ეშინიან მონარქისტებისა და ნაციონალისტების მუქარისა (ტაშის კვრაა).

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა ნება დართო, სახელმწიფო ბანკის კიევის კანტორამ მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზას დამატებით კრედიტად მისცეს 500,000 მანეთი პურის პატრონთათვის სასესხებლად.

ოკდომბერში საგზაო სამინისტრო საბოლოოდ განიხილავს საქმეს რუსეთისა და ფინლიანდიის გზათა შეერთებისას.

25 სექდემბერი

შემახა. მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავადმა გ. ს. გოლიცინმა ორი დღე დაჰყო შემახაში, დაწვრილებით დაათვალიერა ახლად გაშენებული უბნები და აღნიშნა, როგორ უნდა იწარმოვოს მუშაობამ ქალაქის აღსადგენად.

კორსუნი (სიმბირსკის გუბერნია). კორსუნის საერობო კრებამ გარდასწყვიტა ახალ საერიაბო სახლის დარბაზში დასდგან ბიუსტი იმპერატორის ალექსანდრე II-სა.

კოსტანტინეპოლი. ცნობანი იმ უწესოების შესახებ, რომელიც მოიქმედა ვითომ სხვა-და-სხვა მეამბოხე ბრბომ, სიმართლეს მოკლებულია და გაზვიადებულია. როგორც გამოძიებით აღმოჩნდა, საქმეთა ვითარება სამს ვილაეტშია ურიგო მდგომარეობაში. ევროპიის მწერლობა ბჭობს ამ საგნის შესახებ მეტად უნუგეშო კილოთი. არა მართლდება ის ხმა, ვითომ მიღებულ იყოს ახალი სამხედრო ღონისძიებანი. უწესოება უმაღლესს მწვერვალს გადასცდა და ახლა შემოდგომის გამო თანდათან ისპობა.

ნიუ-იორკი. მანილიდან იუწყებიან, რომ 12 სექდემბერს გუამს მიწის-ძვრა იყოვო. მეზღვაურთა ყაზარმები და სხვა შენობანი დაქცეულ იქმნა.

პარიჟი. ხელშეკრულობა, რომელიც დელკასემა და სიამის ელჩმა დასდეს ერთმანეთშორის, შემდეგ უმთავრეს დადგენილებას შეიცავს: საფრანგეთს ეძლევა პროვინციები მალუპრე და ბოსსაკი, საფრანგეთის ჯარი გაანთავისუფლებს ჩამპაბონს, სიამს ეძლევა ნება ჰგზავნოს ჯარი იმ სხვა და სხვა ადგილას მდინარე მეკონგის მარჯვენა ნაპირად, რომელიც სიამის საკუთნოდ რჩება, სიამს შეუძლიან ააშენოს ნავთ-სადგურის ბაქნები, არხები რკინის გზები მდინარე მეკონგის ნაპირად სიამის კულვნილ ნაწილში სიამელ მცხოვრებთა შემწეობით, სიამელბისავე მართველობით, საფრანგეთის ნება დაურთველად არ უნდა გადაახდევინონ სადიფერენციალო ბაჟი მდინარის მირბოსა ბაქანებისა, არხებისა და რკინის გზების ხმარებისათვის.

პეტერბურგი. „Прав. Вѣстник“-ში გამოცხადებულია პოლიციის დეპარტამენტის ეხლანდელი შტატის გაძლიერების შესახებ.

გენერალ-ადიუტანტის თავადს ამილახორს ებოძა წმ. ვლადიმირის პირველ ხარისხის ორდენი.

პეტერბურგის ბირჟა, 24 სექდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¾
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	290¾ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87½ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82⅜ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	85 წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89½ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	351 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185 გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 28 სექდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო ჩაქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე ვოიცეხოვსკის საჩივარი და იაგორ ნემსაძის დავა.
2. ვანო, სოფრო და კიკო ფოხვალო და თოდუათა დავა წისქვილზედ.
3. ვასილ ქორქაშვილისა და აბრამ ფიჩხაძეს დავა 275 მან.
4. იაკობ მალიაფერიძის და დავ. იოსებ, გაბრიელ, მიხეილ, ალექსანდრე და სხ. მესხთა და თომა მალიაფერიძისა და ტრიფონ თუთბერიძისა 50 მ. გამო.
5. დიმიტრი რექვავასი და ეკატერინე საქვავას დავა.
6. პავლე მიროტაძისა და ელიზბარ ნებიერიძის დავა ფულზედ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57წ. დილ.	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Духи
„Фирузэ“

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

კავკასიის

საოლქო საინტენდანტო მმართველობა მოიწვევს ერობათა, მიწათ-მფლობელთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, რომელნიც-კი მოისურვებენ მიჰყიდონ საინტენდანტო მმართველობას პური (ხორბალი), გამოუგზავნონ ზემოხსენებულს მმართველობას ქალაქ ტფილისში ქაღალდი იმ რიგით, რომელიც დადგენილია სამხედრო უწყების მიერ სურსათ-ნუზლის სყიდვის წესთა მე-18 მუხლით. ქაღალდს უნდა ეკრას ორი ღერბის მარკა სამ-სამ აბაზიანი და შიგ უნდა იყოს მოხსენებული: წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მემამულისა, სახელწოდება მამულისა და მაზრისა, აღნიშვნა ადრესისა, რომლითაც უნდა გაეგზავნოს მემამულეს პასუხი მის ქაღალდზედ, რაოდენობა მისასყიდის პურისა და მისი ღირსება, ფასი ერთის ფუთისა, აღნიშვნა რკინის გზის სადგურისა, ან მაღაზიისა, საცა იქნება ჩაბარებული პური, სად უნდა გაიგზავნოს ტომრები და რა და რა ვადაზე, რომელ კასიდან და რა წესით უნდა მიეცეს ფული. აგრეთვე აღნიშვნა თანხმობისა, რომ ტვირთულობენ პურის ჩაბარებას იმ პირობით, რომელიც განმარტებულია ერობათა, მემამულეთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათაგან სამხედრო უწყების მიერ ნუზლ-სანოვაგის სყიდვის წესში. ამას გარდა, რადგან სყიდვა პურისა მემამულეთაგან ამა თუ იმ ვადაზედ, ბეის წარმოუდგენლად შეიძლება, ამიტომ იმის ბულდავანობისათვის, რომ მემამულენი პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას, მემამულე თავად-აზნაურნი, გამსყიდველნი პურისა ამა თუ იმ ვადაზედ მოვალენი არიან წარმოადგინონ ადგილობრივ მარშლის და არა ნაკლებ ორის ადგილობრივ მემამულე თავად-აზნაურის ხელმოწერილი მოწმობა, ანუ მოწმობა საერობო გამგეობისა იმის შესახებ, თუ რაოდენი აქვს მამული სახნავი, სათიბი და საძოვარი, წელიწადში რამდენსა ჰხნავს და სთესავს, ორთა შუა რიცხვით რა მოსავალი ჰქონდა 5 წლის განმავლობაში, რაოდენი პური უნდება საკუთრად თავისთვის, რამდენი რჩება გასასყიდად, ხოლო დანარჩენი მემამულენი, რომლითგანაც ბეის მაგიერ შეიძლება მიღებულ იქმნას მეხუთედი გასყიდულის პურისა იმ პირობით, რომ ამ მეხუთედის ფასი მიიღოს მაშინ, როცა უკანასკნელ გასასყიდის პურის ნაწილს ჩააბარებს, მოვალენი არიან აღნიშნონ თავიანთ ქაღალდში ვადა და ადგილი, რა ვადაზედაც და ადგილასაც ჩააბარებენ საინტენდანტო მმართველობას მეხუთედ ნაწილს გასყიდულის პურისას.

ამასთანავე ყველა გამყიდველმა უნდა წარმოადგინოს საინტენდანტო მმართველობაში ნიმუში პურისა ორის კარგად გამომშრალ და კარგად თავ დაცობილ ბოთლითა, რომელიც უნდა იტევდეს არა ნაკლებ $1/_{20}$ ვედრისას.

მმართველობა დასძენს ამას: 1) ქაღალდი პურის გასყიდვის თაობაზედ შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ იმ მემამულეთაგან, რომელნიც ჰფლობენ თავიანთ მამულს სრულის საკუთრების უფლებით და არა ვითარცა მოიჯარადრენი; 2) რომ პური შეიძლება იყიდოს მმართველობამ იმდენი, რამდენიც მემამულის საკუთარს მამულზედ მოდის პარტიობით დაწყებული 750 ფუთიდგან და 3) რომ ყიდვა პურისა არა საკუთარს, არამედ იჯარით აღებულ მამულზედ მოყვანილისა, ანუ ნაყიდისა იმის-მიერ, ვისაც ქაღალდი შემოაქვს, თუნდაც მემამულისაგან ჰქონდეს ნასყიდი, განუსჯელად აკრძალულია..

(3—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60

ბალანსი

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

1 სექდემბრისთვის 1902 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
1. კასა		73.792	01
2. მიმდინარე ანგარიშები:			
ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	311—56		
ბ) სახელმწ. ბანკ. ბათუმ. განყ.	815—64		
გ) ტფილის. საკომერც. ბანკში	762—48	1.889	68
3. პირობა-დადებული მიმომდინარე ანგარიში		1.033	75
4. განაღდება თამასუქებისა.		966.316	06
5. დაცვლილი კუპონები და ფასიანი ბილეთები		13.499	44
6. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწ. მიერ უზრუნ.-ყოფ. ფას. ქაღალდ.	102,346—		
ბ) არა უზრუნველ-ყოფ. ქაღალ. საკრედიტო საზოგადოებათა და საად.-მამულო ბანკებ.	72,006—		
გ) ოქროსა და ვერცხლში	26,627—		
დ) საქონლის კვიტანციებში.	2,775—		
ე) საქონელში	44,826—	248.580	—
7. სპეციალური მიმომდინარე ანგარიში წევრებისა:			
ა) უზრუნ.-ყოფ. ფას. ბილეთ.	109,462—43		
ბ) საქონლით	448,238—54	557.700	97
8. კორრესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით.	1.479,671—44		
ბ) ჩვენის ანგარიშით.	1.400,550—25	2.880.221	69
9. საჭირნახულო თანხის ბანკის ბილეთები		50.651	60
10. სასწავლებლის თავნის ბილეთები		34.500	—
11. პროტესტ ნაქნარი ვექსილები		8.705	—
12. ვადა-გადაცილებული სესხები		3.736	34
13. ღერბის მარკები		263	10
14. მიმომდინარე ხარჯები		26.544	78
15. დასაბრუნებელი ხარჯები		20.898	80
16. მოწყობა და მომართვა		2.474	08
17. უძრავი მამული		74.694	99
18. სხვა ქალაქებში გაგზავნილი		91.701	73
	ბალანსი.	5.057.204	02

პასსივი.

		მან.	კაპ.
1. თავნი, საზოგადოების წევრთაგან შემოტან.		154.085	—
2. საჭირნახულო თანხა		54.305	49
3. უძრავი მამულის შესაძენად დანახარჯის აღსადგენი თავნი		9.800	82
4. თავნი სახელოსნო და საჴრეწველო სასწავლებლებისათვის		34.589	12
5. შემოტანილი წევრებისაგან:			
ა) მიმომდინარე ანგარიშზედ.	385,915—45		
ბ) ვადით	792,782—80		
გ) უვადოთ	39,560—	1.218.258	25
6. თამასუქებით ნასესხი		82.250	—
7. სპეციალური მიმომდინარე ანგარიში ტფილისის კომერციულ ბანკში		265.726	38
8. კორესპონდენტები.			
ა) იმათის ანგარიშით.	1.342.170—82		
ბ) ჩვენის ანგარიშით.	1.547.078—24	2.889.249	06
9. სხვა ქალაქებში გასაგზავნად გამოტანილი		180.643	08
10. დაურიგებელი დივიდენდი		11.810	30
11. სასარგებლოდ შემოტანილის პროცენტები.		20.902	22
12. მიღებული სარგებელი და კომისია		60.591	87
13. თავნის ნაწილი გამოსულ წევრთაგან წაუღებელი		270	—
14. სახელმწიფო გადასახადები		6	95
15. სხვათათვის გადასაცემად შემოტანილი		72.733	49
16. მონაგები		536	84
17. მამულის შემოსავალი		1.445	15
	ბალანსი.	5.057.204	02

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.